

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა, 2011 წლის 10 მარტს, დღის 12 საათზე, საქართველოს ეროვნული ბანკის ადმინისტრაციულ შენობაში (ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N208) ჩატარდება აუქციონი, საქართველოს ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, კერძოდ: ქ. ბათუმში, მ. აბაშიძის ქ. N27-ში მდებარე სასტუმროს ტიპის ფართი 156,1 კვ.მ. (გაწყობილი ავეჯით, ინვენტარით და ელექტროტექნიკით) და მანსარდა სავარაუდო ფართით 48 კვ.მ.

უძრავი ქონების საწყისი სააუქციონო ფასი განისაზღვრა 518 000 (ხუთასთვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი „ბე-ს“ მოცულობა შეადგენს ქონების საწყისი სააუქციონო ფასის 10%-ს, რომელიც ჩარიცხული/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის N117904101 ანგარიშზე (ს/კ 203 824 148, ბანკის კოდი 220101107). განაცხადი (რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილის და ობიექტის შესახებ), „ბე“-ს შეტანის ქვითარი, აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, იურიდიული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა „მონაწილის ბილეთი“. უმცირესი „ბიჯი“ შეადგენს 10 000 ლარს. აუქციონის დასრულების შემდეგ დგება ოქმი, რომლის ხელმოწერიდან სამ დღეში მყიდველმა ოქმში მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს ობიექტის მთლიანი თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს, ნაღდი ფულით ან გადარიცხვით. იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნულ ვადაში მყიდველმა გადაიხადა ობიექტის ღირებულების მხოლოდ 50 პროცენტი, გადახდის ვადა გახანგრძლივდება კიდევ 30 კალენდარული დღით. თუ მყიდველი უარს იტყვის ნაყიდ ქონებაზე ან დროულად არ შეიტანს საჭირო თანხას, მას ჩამოერთმევა უფლება ქონების შეძენაზე და გადახდილი თანხა და „ბე“ არ დაუბრუნდება. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების რეალიზაციის მიზანია საკუთრების უფლება მიენიჭოს საჯარო აუქციონში მონაწილე იმ პირს რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხადების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. აუქციონის შემდეგ გაყიდული ქონების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ მათი მყიდველისგან პრეტენზია არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ქალბატონ ლიანა კვირიკაძეს, (ტელ:40-61-41, მობ: 899 45-22-54, მის: ქ. თბილისი, ლეონიძის 3/5, ოთახი N337) ელ. ფოსტა lkvirikadze@nbg.gov.ge, უძრავი ქონების სანახავად მიმართეთ: ბექა ბარბაქაძე (ტელ: 40-63-97, მობ: 895 29-83-84), ალექსანდრე კირვალიძე (ტელ: 40-63-99, მობ: 895 55-73-61) მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, ოთახი N119.